საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/11

ქ.თბილისი

„16" თებერვალი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პერსონალური და პროფესიული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე კომისიის აპარატში მუშაობის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^1 და 27^3 მუხლებისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე" კომისიის დადგენილების მე-19 მუხლის მე–8 და მე–9 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") პერსონალური და პროფესიული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე დაშვებულ იქნენ კომისიის აპარატში დასაქმებული შემდეგი უფლებამოსილი პირები:

ა) თამარ ბოკუჩავა – კომისიის კონსულტანტი რეორგანიზაციის საკითხებში;

ბ) თამარ ჭელიძე – კომისიის კონსულტანტი რეორგანიზაციის სამართლებრივ საკითხებში;

გ) იოსებ ხარებავა – კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი;

დ) ნათელა ჯანელიძე – კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის უფროსი;

ე) გუგული კვანტალიანი - კომისიის აპარატის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის ადმინისტრატორი;

2. კომისიაში შემოსული ან კომისიაში დაცული პერსონალური და პროფესიული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციის საქმისწარმოება დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსს იოსებ ხარებავას;

3. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს კომისიის ოფიციალურ გვერდზე, საჯარო გაცნობისათვის, ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება ძალაშია კომისიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნების დღიდან;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge